

572 /
1973/2

ՀԱՅԿԵՏՆԵՐԻ
ՅԵՆՈՒՄՈՒԹՅՈՒՆ



1973 ՅՅՅԱԼՆԵՄ N8

ՀԵՏԵՐ

სოფელი

მამა მამაკაცი

სოფელშია კახუნა
ბგერ, მთელი წაფხული...
მანამ ქუდი აჩუქა,
შავი ქუდი—კახური.
არ იშორებს წუთითაც,
შინ და გარეთ ახურავს,
კახაც თანატოლებთან
უნას უქცევს კახურად.

ნახირს ქვეყნისაჲს,
ჭიდაობს,
მდინარეში სელაობს.
გახარდა ორ თვეში
ბიჭი თითისხელაო.
შვიჯარბ სოფელმა,
შეუფერდა სოფელი.
მხეში ისე გაძავდა,
ველარ იცნობს მშობელი.



ნახატი ზურაბ ლავანასი



ხომალდი

ვლადიმერ ასლაპიანიძე

მანანა ტაშისკარში ისვენებს. ისა და მამა ხშირად მტკვრის პირას სეირნობენ, კრეფენ ყვავილებს. ან მწვანე მოლზე წამოგორდებიან ხოლმე და მდინარის პირას მოფარფატე თეთრ პეპლებს უყურებენ.

ერთ დღეს, მდინარის პირას, მამამ ხის ნაფოტი იპოვა. ჯიბიდან დანა ამოიღო და თლა დაიწყო.

- რას აკეთებ, მამიკო?—ჰკითხა მანანამ.
- ხომალდს!
- გაცურდება?
- გაცურდება და, იცი, როგორ? თუ გზაზე არავინ დაიჭირა, თბილისში ჩავა.
- თუ თბილისში არ დაიჭირეს?
- მაშინ რუსთავსაც ვსტუმრება.
- რუსთავშიც რომ არ დაიჭირონ?
- თუ რუსთავშიც ხელი არ ახლეს, ივლის, ივლის და კასპის ზღვაში შეცურდება.

— მერე, მერე?
— მერე? მერე ზღვაში დიდი ქარიშხლები იცის, თუ ჩვენი ხომალდი ქარიშხალს გადაურჩა, ნამდვილ გემებთან ერთად იცურებს.


— მაშ, აბა, ჩქარა გამოთალე ხომალდი!—ველარ ითმენდა მანანა და მამას აჩქარებდა. მამა კი, არ ჩქარობდა, დანას დინჯად ატრიალებდა, ნაფოტი იმდენ ხანს თალა, სანამ პაწაწინა ხომალდად არ აქცია. ამ ხომალდს, ნამდვილივით, ანძაც ამშვენებდა.

— აფრა რომ არა აქვს, როგორ გაცურდება?—იკითხა მანანამ.



12.143

კ. მარტოვილი, კ. სსრ
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ბიბლიოთეკა



ნახატები თეიმურაზ ჩინჩინაშვილისა

— წყალი უაფროდაც გაიტაცებს ჩვენს ხომალდს!— თქვა მამამ და ხომალდი მდინარის ტალღებში შეაცურა. პირველმა ტალღამ ხომალდი ციბრუტივით დაატრიალა, მეორე ტალღამ ცერად გააცურა, მესამე ტალღამ ზურგზე მოიგდო და ჰერი!— გაულდა ხომალდი გზას.

ამ დროს მდინარის ნაპირზე მოფარფატე პეპლების გუნდიდან ერთი დიდი, თეთრი პე-

პელა ხომალდს ადევნა და ანძაზე მისაკუბდა. ვეც შენი ხომალდი, მანანა!— ხარხარებდა მამა.

— აფრიანი ხომალდი, აფრიანი ხომალდი!— ყვიროდა გახარებული გოგონა და ხომალდს ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა ნაპირნაპირ. მალე ცელქმა ტალღებმა ხომალდი შორს გაიტაცა.

ვინ იცის, მტკვარმა იქნებ მართლაც კასპის ზღვაში ჩაიტანა ხომალდი.

გალეფონი ულრან გყაუი

ნახატები სოფიო კინწარაშვილისა



ნოლა შაჰანაძე


სპილომ დათვი მოიწვია,
დათვმა—კვერნა, კვერნამ—ლორი,
ლორმა—ციყვი, ციყვმა—მელა,
კულდელეღი და ნიამორი.
ნიამორმა—ირემი და
ჯიხვი—კლდიდან კლდეზე მხტომი.
მედიდურად, თავაწვევით
გამობრძანდა მეფე—ლომი.
ტურა წყალში გატყაბუნდა,
მოუნახა დეღეს ფონი.
დაადგინეს: ულრან ტყეში
გაიყვანონ ტელეფონი.
ლორმა დინგით ამოთხარა
ბევრი ორმო, ორმო ბევრი,
მელამ კუდით ამოგაგა
ორმოების მიწა-მტვერი.

სპილო დიდ ხეს დაეკვრა,
 მაღალსა და ტანლატანას,
 ძირიანად ამოავლო,
 ერთ წუთსაც არ დახანა.
 ხეს წაქცევაც არ აცალეს
 და ფოთლები გააცალეს:
 ნიამორმა, ჯიხვმა, კვერნამ,
 ირემმა და ყურცანცარამ.
 ლომმა კბილით, ბასრი კბილით
 ხეს ტოტებიც გააცალა.
 ასე ერთად გაამზადეს
 ბევრი ბოძი ტანლატანა.
 მძღავრმა სპილომ ყველა ბოძი
 ორმოებთან მიიტანა.
 დათუნაც მიეხმარა,
 დაამაგრეს ბოძი ყველა.
 ბოძზე მარდალ ახტა კვერნა,
 ციყყუნიაც მიეშველა.
 ბოძს მავთული გამოაბეს
 და გაჭიმეს მარჯვედ, მარდალ,
 ახმიანდა ტელეფონი,
 ტელეფონი ახმიანდა!

მონადირე თუ გამოჩნდა,
 უღრანმა ტყეშ იცის ხელად:
 ნიამორი ჯიხვს ურეკავს,
 ჯიხვი—ირემს, ლომს და მელას,
 მელა—სპილოს, სპილო—კვერნას,
 კვერნა—კურდღელს, ღორს და ტურას,
 ტურა—დომბას, დომბა—ყირაფს,
 ყირაფი—ციყვს თავკანტურას.
 ბუნაგებში, სოროებში
 იმალება ფხიზლად ყველა,
 მონადირე ნადირს ვერ კლავს,
 დარდიანობს, ბრაზობს, ლელავს.

ულრან ტყეში მინც ისევ
 ტელეფონის წკრილით,
 ხუმრობენ და საუბრობენ,
 აღერა თუ გვიანია.
 აცნობებენ ერთმანეთსა:
 ახლოსაა, თუ შორს არი,—
 უკეთესი საძოვარი,
 საკბილო და საშოვარი.
 სად ღელეა, სად წყაროა,
 სად მდელი და სად კლდე-გორა...
 აღიღებენ იმ ბრქენს, ვინაც
 ტელეფონი მოიგონა.





ლომა

აპაჩი პართოლავა

ნახატი მახანან ბაღდაშვილისა

მიტომ მინდორში თამაშით გული რომ იჯერა, სხვადასხვა ფერის ყვავილები დაკრიფა და შინისაკენ გამობრუნდა. ლედზე გასასვლელ საცაღფეხო ხიდს რომ მიუახლოვდა, გზის პირად ხარი ღომა დაინახა, რომელიც ხის მაღალ ტოტებს ეპოტინებოდა. ხარი უღლიდან ახლად გამოეშვათ და ეტყობოდა ძლიერ მოშივბული იყო. მიტოს ხარი შეებრდა, ლედს ნაპირ-ნაპირ ჩაუყვავა, ტირიფის ხეზე ავიდა, დაამტვრია ბლმად რუოები და ჩამოყარა დაბლა. მერე ძირს ჩამოვიდა, მოაგროვა, შეკრა და ღომასაკენ გაემართა. ბიჭი რამდენიმე ნაბიჯით რომ მიუახლოვდა ხარს, ღომამ თავი აიღო, ფოთლების დანახვაზე დიდრძნი თვალბრი გაუბრწყინდა და მაშინვე ბიჭისკენ გამოეჭანა.

მიტოს შეეშინდა, იფიქრა, ჩემკენ სამტროდ გამოეშურაო, კონა იღლიაში ამოიჩარა და გაიქცა.

გარბის მიტო და მისდევს ღომა.

ამ დროს საიდანღაც მოხუცი სარდიონი გამოჩნდა. ხარმა სარდიონის დანახვაზე ბიჭს თავი მიანება და უკან გაბრუნდა.

შეშინებული მიტო ატირდა და სარდიონს შესჩივდა:

— პაპა, რა უმადური ხარი ყოფილა ღომა, მე ტირიფის ფოთლები მიხლოდა მისთვის მიმეტანა, ის კი გაბრაზებული ჩემკენ გამოეშურა.

— არა, შვილა, ღომა შენ არაფერს გერჩის, — უთხრა ბიჭს სარდიონმა.

— მაშ, რად დამეფენა, — ზღუქუნით წარმოთქვა მიტომ.

— აბა, უჩვენე კონა და გასძახე; ღომა, მოდი აქა-თქო.

მიტო დამშვიდდა, კონა ხედში აიღო და შეათამაშა.

— მო, ღომა, მო, — გასძახა ხარს.

ხარი იმწამსვე გამოიქცა, მივიდა მიტოსთან და ფოთლებს მაღიანად დაუწყო ჭამა.

ახლა მიტოს აღარ ეშინოდა ღომასი, იგდა მის გვერდით და რქებზე მოფერებით ხედებს აფებდა.

ღომა მაღიანად შექცეოდა საქმელს და გაკვირვებული ფიქრობდა: რა უცნაური ბიჭი ყოფილა მიტო, თუ ასე გულით ემეტებოდა ჩემთვის საქმელი, წელან რალაზე გამირბოდა.

ქოთილა

უზანია ბაღია

ნახატები ელზარ ამოქაძისა

ყველაზე უფრო ქოთილას ჯაჯლანას ეზო ჰქონდა ამოჩემებული, სულ ერთთავად იქ იყო. ჯაჯლანასაც ისე არავინ ეჯავრებოდა, როგორც ფეფოს ქოთილა.

აღებოდა ჯაჯლანა დილაადრიანად, ქოთილებს მიათვლიერ-მოათვლიერებდა, ქოთილას რომ ვერ ნახავდა, გაუხარდებოდა. გამოიტანდა სახლიდან სიმინდს და დაუყრიდა. დაუყრიდა და ქოთილაც გაჩნდებოდა. მისწინა მოსწევდა ქათმებს, შუაში ჩაღებოდა და სიმინდს გამალვებით დაუწყებდა კენკვას.

— აქმა, შე სავერანე! — აჯაჯლანდებოდა ჯაჯლანა და მოაჯირს აუტეხდა რახუნს. ყურსაც არ იბერტყავდა ქოთილა, ჯაჯლანა კი ბრაზობდა, ერთხელაც გამწარებულმა სახრეს დაავლო ხელი და კიბე ჩამოირბინა.

— აქმა, აქმა! — ქოთილა ადვილიდან არ იძვრის, — ამას დამიხედე, როგორ გამოიჯიუტდა, შენ თუ თავი არ მოგძაღლო, მაშ მე სანდრუა არ ვიყო, — დამუქრა ჯაჯლანა და სახრე პავრში აათამაშა, ქოთილას რომ მიუახლოვდა, სახრე მოიქნია, მამალი ახტა და იქვე ოწინარზე შეხტა.

— წყალი არ გამიბინძურო! — ახლა ამაზე აყვირდა ჯაჯლანა, ისევე მოუქნია სახრე, ქოთილამ კი ოწინარიდან ისკუპა და ბაღჩაში გადაფრინდა.

— გამარგლოლ ხახვს გამოთვლავს ეგ ოხერი! — მთლად შეიშალა ჯაჯლანა, სიბრაზისაგან კისრის ძარღვები დაეჭიმა და ჰარხალივით გაწითლდა. მოთმინებებიან გამოსული სახლში შევიარდა, თოფი გამოიტანა და ქოთილას დაუმინჯა. ქოთილა თითქოს მიუხეველაო, ღობეზე შეფრინდა და იქიდან თავის ეზოში გადაფრინდა.

— ჰე, დავლახვროს ეშმაკმა! — ჩაილაპარაკა ჯაჯლანამ და თოფი ძირს დაუშვა, — ანე, აქედან დამეკარგე, შენც იტყვი ძაღლი ვარო, — ფეხი წაჰკრა წარბას, რომელიც იქვე ხის ძირას წამოწოლილიყო. მერე ღობეს დაუწყო თვლიერება.



— რამდენჯერ შევეუთვალე ფეფოს, ქედანას პირით, დაამწყვდე, ეგ შენი გასავერანებელი მამალი, თორემ მოგიკლავ და კარზე მოგივლებ-მეთქი, გაიგო?

მერე მხართემოზე წამოწოლილ წარბას მიუბრუნდა და დასქვიცლა:

— ეს ქოთილაა თუ რაღაც ეშმაკია, ჩემს ეზოში თუ კიდე დავინახე, იცოდე, მაგ ყურებს ძირში დაგპერი! — ერთხელ კიდე შეათვლიერა ეზო და სახლში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ, პური თხელში, ეზოში გამოვიდა და ხის ძირას სკამზე ჩამოჯდა.

წარბამ რომ პური დაინახა, ახლო მიუცუცქდა პატრონს. ჯაჯლანამ ზედაც არ შეხედა; წარბამ დრუნჩი მოილოკა და ნერწყვი ჩაყლაპა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და წამტუტუნი დაიწყო.

— შენ რა ქამის ღირსი ხარ, მშვიერი უნდა მოკვდე, — თქვა ჯაჯლანამ და პურს მადლიანდ უკბინა: წარბა არ ეშვებოდა, ფეხქვეშ უგორდებოდა, ელაქუცებოდა. ჯაჯლანამ, როგორც იქნა, ლუქმა გადაუღღო.

— ჰა, ხეთქე, — წარბა პურს დასწვდა და სწრაფად გადასასწავა, — შენ რომ კარგი ძაღლი იყო, ქოთილა ასე არ გავგამწარებდა. — ამის თქმა იყო და ქოთილაც შემოჯდა ღო-

დათუნია

ქ. მოგიავილი

იღრიჯება დათუნია,
ლამისაა ატირდეს.
— ოღონდ კბილი არ მტკიოდეს,
სხვა რაც უნდა ამტკიოდეს!—

დატრიალდა დედა, მამა,
ნათლიდედა, ნათლიმამა.

წაიყვანეს ბურღლუნია
ყბაშეხვეულ-გათოკილი,
დააბრძანეს ექიმთან და,
მოურჩინეს დათოს კბილი!

ერთი კვირაც არ გასულა...
ბელი ლამის ატირდეს:
— ოღონდ ყური არ მტკიოდეს,
სხვა რაც უნდა ამტკიოდეს!—

დატრიალდა დედა, მამა,
ნათლიდედა, ნათლიმამა,
ყური უნდა მოურჩინონ,
რას იზამენ სხვას,
ყურაკრული დათუნია .
გაუყენეს გზას...

მოურჩინეს ყური დათოს,
ექიმს ჯანი მიემატოს.

არ გასულა შაბათ-კვირა,
დრუნჩა გორაკს თავდაყირა:
— ვაი... ცხვირი გამისივდა,
ლამისაა ავტირდე,
ოღონდ ცხვირი არ მტკიოდეს,
სხვა რაც უნდა ამტკიოდეს!—

დატრიალდა დედა, მამა,
ნათლიდედა, ნათლიმამა.
ცხვირი უნდა მოურჩინონ,
რას იზამენ სხვას,
ცხვირაკრული დათუნია
გაუყენეს გზას!

მოურჩინეს ცხვირი დათოს.
ექიმს ჯანი მიემატოს!



უხარია დედას, მამას,
ნათლიდედას, ნათლიმამას,
ჯანმრთელად ჰყავთ დათო,—
კარგი დაგემართოთ.

დედამ უთხრა:—დაიხსომე,
ჩემო თაფლიპარია,
ყური, ცხვირი, რაც შენია,
ყველა სატკივარია!
ჭკუილ უნდა იყო, შვილო,
აგრემც გაგიხარია!

ბრიყვი ფისო

— რატომ კნავი კატუნია?
— თაგუნია მ გამაბრაზა,
გაგეკიდე, შინ შემასწრო,
ყველა კარი გადარაზა.

სად ჩაძვერი, ვაჟბატონო,
გამობრძანდი გარეთ, ღლაპო,
შენი უღვაშეზიანად
ცოცხლად უნდა გადაგყლაპო!

— წამო, თავი დაანებე...
— არ წამოვალ დედი, არა..
რაც გუშინწინ ვაბატეი,
მაგისათვის ისიც კმარა.

გადამირბენს, გადმომირბენს,
დაცუნცულეებს ცხვირწინ განგებ,
ვერ ისწავლის ჭკუას, ვიდრე
ამ ბრჭყალზე არ წამოვაგებ!

გულმოსული ფისუნია
დღე და ღამე ახლაც იქ ზის,
ქურდ-ზაცაცას ლოდინშია,
იცდის, იცდის, იცდის, იცდის.

წრუწუნა კი სხვა ხერგლიდან
ფისოს უცქერს, იგუდება,
როცა უნდა, გარეთ გადის,—
როცა უნდა, შინ ბრუნდება!



პრაქვეულბრივი თვალები

ლავით ჯავახიშვილი

ნახატები ზაპრ ლეისაძისა



ზღაპარი



იყო და არა იყო რა, ღვთის უყეთესი რა იქნებოდა. ერთ ჩვეულებრივ ქალაქში ერთი ჩვეულებრივი კაცი ცხოვრობდა; არც ხელფეხი აკლდა, არც თვალი, არც ყური, ყველაფერი, როგორც წესი და რიგია, ადგილზე ჰქონდა. სახელიც უფარგოდა, გიორგი ერქვა და მაინც უმაღური იყო ბედისა, სულ მუდამ დაღვრემილი დაიარებოდა. თუკი ამ დაღვრემილობის მიზეზს ჰკითხავდით, გიპასუხებდათ:

— რა მოუტია ღმერთს ჩემთვის ხეირიანი, რომ მხიარულად ვიყო? ზოგს მგლის მუხლი აქვს, ზოგს—არწივის თვალი, ზოგს—ოქროს ხელი და ზოგსაც—ასი ყური. მე კი ყველაფერი ჩვეულებრივი მაქვს, არაფერ-

ში გამოსადეგო, — და ნაღვლიანი განაგრძობდა გზას.

ერთხელ, სიზმარში, გიორგის თეთრწვერა ბერიკაცი გამოეცხადა. ბერიკაცს მხრებზე თეთრი ნაბაღი ესხა, სახეზე კი გულკეთილი ღიმილი უკრთოდა. გამოეცხადა და, არც რამე უკითხავს, პირდაპირ უთხრა:

— ჩანს, ძალიან შეუწუხებინარ შენს ჩვეულებრივობას, ჩემო გიორგი, რაკი ძილშიც ასე მქმუნვარე და მოწყენილი ხარ. მაშ კარგი! ამიერიდან არაჩვეულებრივი თვალები გექნება და რაც მოგივა, მოგივა, მოდი, მე ნუ დამაბრალებო, — უთხრა და გაქრა.

გამოეღვიძა გახარებულ გიორგის და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააჭყიტა, თავისი უკვე არაჩვეულებრივი თვალები, მიიხედ-მოიხედა, მადლაც აიხედა, დაბლაც დაიხედა, მაგრამ რამე იყო და ამიტომ ვერაფერიც ვერ დაინახა. კვლავ ძველებურად დანაღვლიანდა. დიდხანს იტრიალა ლოგინში მოუსვენრად, დიდხანს, ვიდრე სიზმარი არ დაავიწყდა. გათენისისას ძლივს ჩაეძინა და, დილას, როცა ხელმოგორედ გამოეღვიძა, — ჰოი, საოცრებაე! — დაუჯერებელი რამ დაინახა: ხელუხლებლად იდგა ოთახში ყველაფერი — კამე-

ბიცი, მაგიდებიც, კარადებიც! თვითონ ოთახი
კი აღარსად ჩანდა, კედლები გამქრალიყო.

აი, საწოლის გვერდით ვიღაც უცხო ქალ-
მა ჩაიარა, ისე ახლოს, რომ გიორგის შერ-
ცხვა და ძილში უცაბედად გადახდილი საბა-
ნი სწრაფად გაისწორა. იქვე ახლოს მეგზო-
ვმ ტროტუარის ხევტა დაიწყო და თავისი
ვევებერთელა ცოცხით ხმელი ფოთლები და
მტვერი კინაღამ გიორგის არ შეაყარა; ორიო-
დე ნაბიჯის მოშორებით სანაგვე მანქანა გა-
ჩერდა და მის გარშემო ქალებმა ერთი ჩოჩ-
ქოლი და ალიაქოთი ასტეხეს...

სირცხვილისაგან მუშტისოდენად მოკუნ-
ტული გიორგი განძრევასაც ვეღარ ბედავ-
და. იწვა გარინდული და ფიქრობდა, როგორ
მოქცეულიყო. ადგომა ვწადა, მაგრამ ამდენი
უცხო ხალხის თვალწინ როგორ ჩაიცივამ-
და?! კიდეც კარგი, ჯერჯერობით ვერვინ ამჩ-
ნევდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს იწვებოდა ასე გაუნ-
ძრევლად, რომ მის გარშემო ბოლოს და ბო-
ლოს სისწყნარე არ ჩამოვარდნილიყო. რო-
გორც იქნა წავიდა სანაგვე მანქანა და და-
შოშმინებულმა ქალებმა სახლებს მიაშურეს;
მეგზოვეც თვალს მიეტარა, ქუჩა და ცლი-
ლიყო.

გიორგი სწრაფად წამოხტა ზეზე, სწრაფად
ჩაიცივა, გადაწყიტა მალე გასცლოდა აქუ-
რობას და თავისი გასაჭირი—კედლების გაქ-
რობის ამბავი,—ვინმესთვის გაენდო. დაუფიქ-
რებლად გაეშურა იქით, საითაც ჯერ კიდევ
გუშინ ოთახიდან ქუჩაში გამავალი კარი ეგუ-
ლებოდა. მერე თავის სისულელეზე თვითონ-
ვე გაეცინა: ამ ოთახს ხომ კედლები აღარ
შქონდა და სულ ერთი არ იყო საიდან გა-
ვიდოდა?! წინ არსად არაფერი ეღობებოდა.
გიორგიმ მიმართულემა იცვალა და თამამად
გაემართა ქუჩისაკენ, მაგრამ, დახეთ ახალ



საოცრებას!—უხილავ ზღუდეს შეეჯახა. მოულოდნელად, თვალთ დაუბნელდა.

გონს რომ მოვიდა, შუბლზე დიდი კობი აჯდა, სამაგიეროდ კი დანამდვილებით შეფლო ეთქვა, რაც მომხდარიყო. ახლავა გაახსენდა სიზმრად ნანახი თეთრწყვრა ბერიკაცნი. გაახსენდა მისი დაპირება: ამიერიდან არაჩვეულებრივი თვალები გაქნებაო. მიხვდა, რომ უკვე ჰქონდა ეს თვალები, თვალეები, რომლებიც ყველაზე სქელი კედლის მიღმაც კი ყველაფერს და ყველას ხედავდნენ. გიორგიმ უბედნიერეს კაცად იგრძნო უეცრად თავი: ასეთი ბედი აქამდე ჯერ არავის სწვევია! მის ჩვეულებრივ, მოსაწყენ ცხოვრებაში დღეიდან საინტერესო თავგადასავლების დრო იწყებოდა!

* * *

გიორგიმ უხილავი კარი გაღო და იმედინად გამოვიდა მზიან ქუჩაში. გაცივებული აცხებდა ზევით-ქვევით თავის ახალ, არაჩვეულებრივ თვალებს. იშვიათი სანახაობა გადაშლილიყო ამ თვალთა წინაშე. მრავალსართულიანი სახლების კედლები თითქოს გამჟვირვალე ბროლით იყო ნაგები, მკაფიოდ მოჩანდა ყოველივე, რაც შიგ ხდებოდა. აგერ, ნახევრად შიშველი ღიბიანი კაცი სასაცილოდ ვარჯიშობდა ერთ-ერთ ოთახში; მეორეში ვიღაც თმაგაჩეჩილი ქალი სარკის წინ უსირცხვილოდ იბრანქებოდა და დარწმუნებული იყო, რომ მას ვერაფერს ვერა ხედავდა. მესამე ოთახში საბრალო ბებია ამაოდ წვალობდა: ზარმაც შვილიშვილს ლოგინიდან ვერ აყენებდა; მეოთხეში ისეთი არეულობა სუფევდა, არც კი ჩანდა, რა ხდებოდა შიგ. მესხეთეში ცოლი ქმარს წასჩხუბებოდა და ნამდვილი ხელნართული ბრძოლა იყო გაჩაღებული... გიორგის თვალები აუტყრელდა და თავბრუ დაეხვა, ხესაც კი მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა, წავალ ალექსისთან, ჩემი თვალების ამბავს ვეტყვი, ენახოთ, რას მიჩვენოსო, გაიფიქრა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. ალექსი გიორგის სახლში ცხოვრობდა. გიორგიმ შორიდანვე დაინახა, რომ შინმყოფი ალექსი ერთობ უცნაური საქმით იყო გართული: იგი მარ-



ტოდმარტო იჯდა იატაკზე, ფეხებშუა უთვალავი ფული ეყარა, შორიდან კაცს გასაჩივი მატყლის გროვა ეგონებოდა. ალექსი ბლუჯაბლუჯა იღებდა ფულს და ხან თავზე იყრიდა, ხან გულში იხუტებდა, ხან კოცნიდა, თანაც ხარხარებდა და ხარხარებდა. გაგიჟებული საწყალიო, გადაწყვიტა გიორგიმ და კარზე გაუბედავად დააკაკუნა. კაკუნის ხმაზე ალექსი მართლა გიჟივით წამოხტა ზეზე, ფულეები მოხვეტა, ტომარაში ჩატენა, ტომარა საწოლის ქვეშ შეაგდო და... მერღვა გაალო კარი.

— როგორა ხარ?—ჰკითხა შეშინებულმა გიორგიმ,—თუ ცუდად ხარ, გავიქცევი, ექიმს მოგიყვან.

— ეგე!—ამოიოხრა ალექსიმ,—ცუდად კი ვარ, ჩემო გიორგი, მაგრამ ექიმი აბა რას მიშველის?!

— ისეთი რა გვიკის, რომ ექიმმაც კი ვერ გიშველოს?— შეწუხდა გიორგი.

— რა გვიკის და უფულობა, — უბასუხა ალექსი და კინაღამ ატირდა, — კაპიკი. რა არის, ისიც არ მიგდა, პურის ფული მენტარება, ლამისაა შიმშილით მოვკვდენ...

— კი მაგრამ... — გაუკვირდა გიორგის, — საწოლის ქვეშ რომ ტომარა გდია, თუ არ ვცდები, სწორედ ფულით უნდა იყოს პირამდე სახსე.

ამის გამგონე ალექსი ადგილზე შეხტა, მერე უცებ ძლიერ განრისხდა და ყვირილი მორთო:

— მაშ, ქუჭრუტანიდან მითვალთვალეზღდი, არა, ჯაშუშო? გაეთრიე აქედან, უსინდისოვ! აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! — და გიორგის კრინტის დაძვრაც არ აცალა, ისე სწრაფად მიუხეტა კარი. კინაღამ ცხვი-

რიც შიგ მოუყვოლა.

დაღინდა გიორგი, მაგრამ ამ სიტყვების მერე რა უნდა ექნა. იფიქრა ახლა არჩილს მივადგები, ის მაინც არის ჩემი ნამდვილი ამხანაგა და რამეს მიჩვენებს, ასე ღორულად არ მომექცევაო.

არჩილი და მისი ცოლი ელენე მაგიდას უსხდნენ, ჩაის მიირთმევდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ. გიორგიმ ისინიც გარედანვე დაინახა და გახარებულმა დარეკა ზარი, შინა ყოფილანო. ზარის ხმაზე არჩილი წამოდგა, ცოლს რაღაც უთხრა, მერე მეორე ოთახში გავიდა, ჭიქაც თან წაიღო და ჩაის სმა განაგრძო. ელენემ გიორგის კარი გაუღო და გაუღიმა.

— გამარჯობა! — მიესალმა გიორგი, — არჩილის სანახავად მოვედი, რაღაც საქმე მაქვს.

— არჩილი შინ არ არის, — უბასუხა ელენემ, — ათი წუთია, რაც წავიდა.

— როგორ თუ წავიდა?! — გაუკვირდა გიორგის — მაშ ის ვინ არის, მეორე ოთახში ჩაის რომ შეექცევა?

— ესე იგი მე ვტყუი, არა?! — განჩხლდა ელენე, — დაბრუნდეს არჩილი! მე იმას მოვახსენებ, რაც მაკადრე! ის გაგცემს პასუხს! — დემუქრა და კარი ისე მიუჯახა, კინაღამ ჭერი ჩამოინდრა.

დიღანს იღვა გიორგი დაბნეული, ვერ გაგებო მის თავს რა ხდებოდა. ბოლოს დაღონებული გაშორდა იქაურობას. ნაცნობებთან მისვლას როგორღა გაბედავდა, მით უფრო — უცნობებთან და, მთელი ღღე ქუჩა-ქუჩა იხეტიალა. თვალდახუჭული ხომ ვერ ივლიდა და, ამიტომაც, ძალაუნებურად ხედავდა უკედლებო სახლებს, ხედავდა რაც ხდებოდა ოთახებში. ბევრ რამეს ხედავდა ისეთი, რისი თქმაც არ შეიძლება და დანახვაც არ ვოფილა თურმე საქობი, ყველაფერს ხედავდა და აღარაფერი გაგებოდა.

ვერც თავის საკუთარ ოთახში იპოვა შეება, ისიც გამკვირვალე იყო და თითქოს არც კი არსებობდა სინამდვილეში.

გამწარდა საბრალო გიორგი და არაჩვეულებრივი თვალები სრულად ჩვეულებრივი ცრემლებით ავესო. ჩაწვა ლოგინში, საბანი თავზე წახურა და თვალები დახუჭა. სიჩუმე და სიბნელე ჩამოწვა ირგვლივ. ცოტა დამ-



შვილდა და მთელი დღის ხეტიალით დაღლილს მალე ჩაძინა. თეთრწვერა ბერიკაცმა დიდხანს აღარ ალოდინა და გამოეცხადა. ახლა იგი დამცინავად იღიმებოდა და ჯიუტად ღუმდა.

— დამიბრუნე ჩემი ძველი თვალები, — შეევედრა გიორგი, — ოღონდ ჩემი ძველი თვალები დამიბრუნე და სამიგეროდ, რაც გინდა, მთხოვე.

— რა უნდა ვთხოვო?! — გაეცინა ბერიკაცს და თეთრი ნაბადი ყოჩაღად შეისწორა, — მხოლოდ ეს მითხარი: რას ემღური შენს ახალ თვალებს?

— შეძენით არაფერი შემიძენია, — შესჩივ-

ლა გიორგიმ, — ორი ამხანაგი კი სამუდამოდ დამაპარგვინა! თან გზადაგზა კარგზე მეტი ცუდი დამანახვა... აღარ მინდა არაჩვეულებრივი თვალები, აღარ მინდა... — და, მწარედ აქვითინდა.

გაქრა თეთრწვერა ბერიკაცი, უხმოდ, უეცრად. მაგრამ ვიღერე გაქრებოდა, შეისმინა გიორგის მუღარა.

ცხოვრობს მას შემდეგ ერთ ჩვეულებრივ ქალაქში ერთი ჩვეულებრივი კაცი — გიორგი, არც ხელ-ფეხი აკლია, არც თვალი და ყური, ყველაფერი, როგორც წესი და რიგია, თავის ადგილზე აქვს. ცხოვრობს და მუდამ სახეგაბარული დღიარება.

ნახატები თინათინი სახსონაძის



აქიმი აიბოლივი

ქორნეი ჩუკოვსკი

1.

აიბოლივი თუ გსურთ გაიცნოთ, ხის ძირას უდგას კარავი. მისი ქეებით და მისი დიდებით არ დამეღლებოდა კალამი. ნადირ-ფრინველის მკურნალი გახლავთ, ვილას არ ნახავთ მის კარზე; ვაი, მტკივა და ვაი, მიშველეთ, მიადგებიან ცისკარზე.

2.

აი, ერთხელაც ექიმს ეახლა ჩვენი ნაცნობი მელა: იგრინებოდა ტკივილებივგან, — ამეკილაო კელა! — მელას მურია მოჰყვა ფეხდაფეხ, კრუსხს დეკორტანა იგი, აგერ კურდღელი მორბის ქოშინით, დამიჭირეთო რიგი. ბაჟია მოჰყავს საბრალოს, წუთში გადმოჰკრა ტრამალი.

„ბაჰიას ფეხი მოტყდომო,
დაჯახებია ტრამვი“...
დინჯად ამშვიდდებს მკურნალი:
— ნუ ლელავ, ფრთხილად მაჩვენე!
ისე მოგირჩენ სატკივარს,
ნაკერსაც ველარ ამჩნევდე!—
კენესოდა კოკლიო ბაჰია,
შიშმა შეუნთო აღმურია,
ექიმმა ისე განკურნა,
ჩამოუარა დავლურია.
დედლოც მასთან აცეკვდა,
— მომირჩა ჩემი ერთაო,
აიბოლიტო, სიკეთით
ვადავისადოს ღმერთმაო!..



3.

— უცხად, სად იყო, სად არა,
ცხენდაცხენ, ჰენებჰენებით,
ტურა მოიჭრა კივილით:
— დეპეშაო ჩვენების,
ახსად არა ვარ, ექიმო,
სხვაგან მე თქვენი გამშვები,
გთხოვთ აფრიკაში ვეფწვიოთ,
გადაარჩინით ბავშვები!
უფრო მალე რომ გვიპოვო,
გახსოვდეს სიტყვა— „ლიმპოპო“!

4.

ტყესა და ქარბუქს არ შეეპუა,
გრძელ გზას გაუდგა ჩვენი ექიმი.
ზღვასთან გემივით დახვდა ვეშაპი,
ქმნა გასაჭირში საქმე კეთილი.
— თავი რად მინდა მაშინ ცოცხალი,
გემზე ნაკლებად გეზი ვიპოვო.
აიბოლიტი კი იმეორებს:
— ლიმპოპო, ლიმპოპო, ლიმპოპო.—
ჯერ აფრიკამდე კიდევ შორია,
კლდე-ღრეს მიჰყვება ცოცვით,
იმ პატარებზე დარდით და
იმ პატარებზე ლოცვით.
ამ ბილიკებზეც ეშველა,
არწივის ფრთებმა ისინა.
იფრინეს, ბევრი იფრინეს,
გზაში მოუსწროთ ნისლმა.
რადაც არ უნდა დამიჯდეს,
მხეცები უნდა ვიპოვო.
არ ივიწყებდა ერთ სიტყვას:
ლიმპოპო,
ლიმპოპო,
ლიმპოპო...





5.

აფრიკაში კი, ცხელ აფრიკაში,
შავი ლიმპოპოს პირას,
დამწუხრებულმა ჰიპოპოტამი,
ცრემლს ვერ უშრობენ მტრიალს.
პალმას აღარ შორდებოდა,
ზღვისკენ ცქერას ჩამოედნო,
მხოლოდ ისღა დარჩენოდა,
უცხო გემს რომ ჩამოევლო.
ჩველ ბეჭემოტს, ზვიგენს, სნილოს,
ჟირაფსა თუ სირაქლემას—
ხან კბილების ტკივილი ჰკლავთ,
ხან აწუხებთ მუცლის გვრემია...
ამ ტირილში მატულობენ,
აიბოლიტს ნატულობენ.

6.

მაგრამ, არიქა, ერთი შეხედეთ,
რალაც ფრინველი დიდი
მოუახლოვდა აფრიკის ნაპირს,
როცა ჩამოწვა ბინდი.
ეჭვი არაა, არწივი არის,
ჩვენი ექიმი შეუსვამს ზურგზე-
გამოფენილა ფრინველთა-მეფე
და ყველა ყოჩაღ ბერიკაცს უმწერს.
ის კი, კეთილი, გახარებული,
ესალმებოდა მასპინძლებს გულით,
გაუმარჯოსო ძვირფას აფრიკას!
მალღა ეჭირა კილოფის ქული.
„ვაშა და ვაშა,—ჩამოფრინდაო!“
შესძახა ერთად მთელმა აფრიკამ,



სამშვიდობოზე დასვა ექიმი
და არწივი კი უკან ვაფრინდა.
— აბა, მაჩვენეთ ავადმყოფები,—
სწრაფად ვაიქცა მოხუცი ჩანთით.
ბეჭემოტები მოინახულა;
— ავადმყოფობას ამოვწვავ შანთით!
ათი დღე და ათი ღამე
არც უხვამს, არც უჭამია,
შოკოლადი ავადმყოფებს,
გოგლი-მოგლი ავადმყოფებს,
გამოკეთდნენ, პატარები
მშობლებს აღარც უჯავრიათ!

7.

განიკურნა ყველა ერთად,
გაიმართა ნადიმი,
„ლიმპოპოს და ლიმპოპოლოს“
მღერის ყველა ნადირი.
პაწაწინა ბეჭემოტებს
ღიპი ხელით უჭირავთ;
ხითხითებენ, ხითხითებენ,
ცრემლს იწმენდენ მუჭით.
ვაიხარა ჰიპოპომ,
ჰიპოპომ და ჰიპოპომ,
— მოილხინეთ, ვეფხეებო,
მოილხინეთ, ოფოფო...
— აიბოლიტს გაუმარჯოს!—
დაპყვიროდა ჰიპოპო,
— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—
ბანს აძლევდა ლიმპოპო.

ჩემი ბავშვობა



ბ. ლავაგოვი ნახატი გიორგი რიჩინაშვილისა

გუმინ მე და მამა სათამაშო მოყვანზე ვიყავით. მამა მერსზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, მე კი ცოტა მოციდებით ქვიშაში ვურეგვდი ხელს და თან ორ ბიჭუნას უფრს ვუტეებდი, როგორ გამათობდნენ:

- მამანევი უველასზე დიდია!
- არა! მამანევი უველასზე დიდი!
- მამანევი ხეზე მძაღლია!
- მამანევი კი სხლზე მძაღლია!
- მამანევი ცხსა სწვდება!

— ვრიზა, მაცვისთანა მამუბი არ არსებობენ, — ხაფრე მე, — აი, მამანევი კი ვპირის: მთელი მკერდი ორდენებითა და შედლებით აქვს სავსე. როცა ფაშისტებს ვუთმობდი, მამამ ბურღინამდე ჩაღწია და იმ სხლშიც კი შევიდა, სიდანაც ბიტლერი თავის ჯარს სარდლობდა. აბა, ახლა გამოიცანით, რამდენი წლისა ვარ?

- ექვსისა! — თქვა ერთმა.
- ექვსისა! — წამოიხსა მეორემ.
- ვურა, ვურ გამოიცანით. მე იმდენი წლისა ვარ, რამდენი ორდენიც მამას მკერდზე უკეთია.

— სად არის მამაშენი? — იკითხეს ბიჭუნებმა.

— აგერ იქ, მქვანე მერსზე, გაზეთს კითხულობს.

ბიჭუნებმა მერსთან მიიბრინეს, ორდენის ნიღები მკვირცხლად დათვალებს და შესძახეს:

— შვიდი! შვიდისა უოფილა!..

თარგმან თამარ ლინიაშვილმა



მთავარი რედაქტორი გ. მურგანიანი

სარედაქციო კოლეგია: კაპანი გივიანი, ლილა ირაბი, ჯემალ ლულუა, ვურაბ ლომიძე, მანუკიანი გივიანი, ორაბი ამირხალია (პ/მ მღვიანა), ზაღვა ცხალაძე (სამხ. რედაქტორი), გიგი ძეგლაძე
საკ. აღკ. ც-ისა და გ. ო. ლინიის სახელობის პოინტით: ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ვურინალი. ვაშლი ნახატი მამაზ ხაფრეშვილისა. გამომცემის 46-ე წელი.

ტექნოლოგიური ბ. რიჩინაშვილი

მიზანართა: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლინიის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, პ/მ მღვიანის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განკუთ. — 93-98-19; სამღვიანო — 93-98-16. გოდეგი ისაყოხალი 19/IV-73 წ., ხელმოწერილია დისანგედად 26/VI-73 წ., ქალაქის ზომა 60x90^{1/16} ფიხ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 159.700. შვედ. № 860. „Дилა“ № 8. ნა გრუინკომ რჳკე. ფაშ 20 კაბ.

საკ. კ. ც-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии



641/12



76055



- „კურღლელო“—ნახ. გოჩა ლუღუშაურისა, 6 წ. თბილისი.
- „ზეიმზე“—ნახ. მარინე შირიანაშვილისა, 7 წ. თბილისი.
- „დაძმა“—ნახ. თამარ ჯავახიშვილისა, 6 წ. თბილისი.
- „მთცეკვავენი“—ნახ. გურანდა კვაპანტირაძისა, 5 წ. მხარაძის რაიონი, სოფ. კონჭლათი.
- „კარშიდაშით“—ნახ. შუშუნა ტყემალაძისა, 7 წ. თბილისი.
- „გოგონა“—ნახ. დალი ვალიშვილისა, 5 წ. თბილისი.
- „მთცეკვავე ქალები“—ნახ. მაკა ტატალაშვილისა, 4 წ. ბორჯომის რ. დამა წალღერი.
- „ცხენხანი“—ნახ. ირაკლი ყიფიანისა, 7 წ. თბილისი.

